ქვის წყობის ხასიათი და ნალისებრი თაღოვანი ღიობების ფორმა აღმოსავლურ გავლენას მოკლებულია, თუმცა, კედლის ნიშების ფრაგმენტებში შეისრული ელემენტი იკითხება, რაც გვიანშუასაუკუნეების ქართული არქიტექტურისთვის დამახასიათებელია.

ანაზომებში ჩანს, რომ თაღოვანი ღიობები შეკეთებულია და ხელახლა ამოშენებული. შესაძლებელია, სწორედ ამ ამოშენების დროს წაიშალა მათი შეისრული ფორმა, რადგანაც მცირე ზომის ნიშებს მაინც ატყვია ე.წ. მშვილდა თაღის ელემენტი, რაც ზოგადად, დამახასიათებელია გვიანი შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურისათვის.